საქართველოს კანონი

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998, გვ. 15) 22-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირის (შემდგომ – უეფა) 2015 წლის სუპერთასის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში იკრძალება უეფას ნებართვის გარეშე ნებისმიერი რეკლამა ან სხვა ქმედება (გარდა მაუწყებლის მიერ მიმოხილვითი სპორტული გადაცემების გავრცელებისა), რომელიც ხორციელდება არაუფლებამოსილი პირების მიერ უეფას რეპუტაციით სარგებლის მიღების მიზნით, აგრეთვე უეფას 2015 წლის სუპერთასის მატჩზე დასასწრები ბილეთის გასაყიდად შეთავაზება ან ნებისმიერ კომერციულ ღონისძიებაში გამოყენება.“.

მუხლი 2. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის მიღებიდან 1 თვის ვადაში მიიღოს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირის 2015 წლის სუპერთასის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩასატარებლად ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

12 ივნისი 2015 წ.

N3718-IIს